

სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო

თბილისის №3 საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსის და
დაუმთავრებელი ფლიგელის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2015 წელი

სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო

თბილისის №3 საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსის და
დაუმთავრებელი ფლიგელის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

არქიტექტურის სამსახურის უფროსი

ზ. ნიკოლაიშვილი

ორგანიზაციის პროექტის ავტორი

ტ. სტურუა

თბილისი 2015 წელი

შემადგენლობა

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „მო-1“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“

ნახაზი „მო-2“ – „სადემონტაჟო სქემები“

განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

თბილისის №3 საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსის და
დაუმთავრებელი ფლიგელის დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია
სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო“-ს მიერ.

წინამდებარე „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“
დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და
წესების(სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების
საფუძველზე:

1. სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“
2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“
3. სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის
საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სნდაწ 3.01.01-85*-ის
მოთხოვნის თანახმად დემონტაჟის შემსრულებელმა ორგანიზაციამ
აუცილებლად უნდა უზრუნველყოს „სადემონტაჟო სამუშაოთა
წარმოების პროექტი“-ს დამუშავება.

აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყება დამტკიცებული
„სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე.

დემონტაჟის შემსრულებელმა ორგანიზაციამ ძირითადი კორპუსის
დემონტაჟის სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა

უზრუნველყოს ასევე სკოლის ძირითადი სადემონტაჟო კორპუსის
მიჯნაზე განლაგებული არასადემონტაჟო 4-სართულიანი შენობისა
(ლტოლვილების საცხოვრებელი) და ძირითადი კორპუსის მომიჯნავე
საძირკვლების განლაგების დონისა და ტექნიკური მდგომარეობის
შესწავლა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის
ეროვნული ბიუროს მიერ, რათა გამორიცხულ იქნას არასადემონტაჟო
შენობის დაზიანება.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

თბილისის №3 საჯარო სკოლა მდებარეობს ცხრა ძმის ქუჩის №58-ში,
დემონტაჟს ექვემდებარება სკოლის ძირითადი კორპუსი,
დაუმთავრებელი ფლიგელი და ერთსართულიანი სამეურნეო შენობა-
ნაგებობები.

1. სკოლის შენობის დაუმთავრებელი ფლიგელი გეგმაში არის
რუსული ასო T-სებრი, ზომებით 24.8X 21.5 მ, სამსართულიანი
სარდაფით. ის განლაგებულია ძირითადი კორპუსის ფასადის მარცხენა
მხარეს.

აღნიშნული ფლიგელი №3 საჯარო სკოლის შენობას მიუშენდა 20 წლის
წინ. ფლიგელის კარკასი ძირითადად აშენებულია ანაკრები რკ/ბეტონის
კონსტრუქციებით, სვეტები - ანაკრები რკ/ბეტონის და მონოლითური
რკ/ბეტონის, რიგელები - ანაკრები რკ/ბეტონის და მონოლითური
რკ/ბეტონის, გადახურვები - ანაკრები რკ/ბეტონის ღრუტანიანი
ფილებით, ზემირკვლის ბლოკები - ანაკრები რკ/ბეტონის, დახურვა-

- ანაკრები რკ/ბეტონის წიბოვანი ფილებით. სახურავი შენობას არ აქვს.
კედლები -წითელი აგურის და მსხვილი საკედლე ბლოკების.ფლიგელის
შენობა დაუმთავრებელია.

მიმდინარეობს სახურავის გარეშე დარჩენილი შენობის დაშლის
პროცესი, ჩამოიშალა დახურვის ფილების ნაწილი; კონსტრუქციების
მუშა არმატურა ბევრ ადგილზე გაშიშვლდა და დაიუანგა.

ძლიერი დეფორმაციების გამო ფლიგელის შენობამ დაკარგა
თავდაპირველი გეომეტრიული ფორმა. ამ დაზიანებების გამო
ფლიგელის აღდგენა არარენტაბელურია და მიზანშეწონილია
აღნიშნული ფლიგელის გადაუდებელი დემონტაჟი (წერილი
MES31300437781; 02.10.2013წ.).

2. ძირითადი კორპუსი- არის 4 სართულიანი სარდაფით; გეგმაში
მართვული ბზარის ფორმის, ზომებით 80x10,5 მ, რომელსაც ფასადის მხარეს
ტორსულ მარჯვენა და მარცხენა კედლებთან გააჩნია გამონაშვერები.
შენობა აშენებულია 1986 წელს.

ძირითადი კორპუსის მზიდი კედლები -ქვის (I-IIსართულის) და აგურის
(III-IVსართულის). სართულშუა გადახურვების კონსტრუქცია არის ხის.
ხის სახურავი დაფარულია თუნშექით.

დღეისათვის შენობის ყველა სართულზე აღინიშნება მრავლობითი
გამჭოლი ბზარი კაპიტალურ კედლებში და ტიხრებში. ბევრ ადგილას
კედლის წყობა განიცდის რღვევას აგურების ამოვარდნით.
კორიდორებში დეფორმირებულია ჭერის კონსტრუქცია. იატაკებსა და
გარე კედლებს შორის ცალკეულ მონაკვეთებში გაჩენილია 5სმ
გახსნილობის ღრეჭო და გამჭოლი ბზარებით დაზიანებულია კიბის
ბაქნების და კიბის უჯრედების გადახურვის მონოლითური რკ/ბ
კონსტრუქციები. უხარისხოდ არის შესრულებული შენობის

გამაგრებითი სამუშაოები, კერძოდ, ბევრ ადგილას ლითონის ჭიმები ჩაღუნულია. მზიდი კონსტრუქციების უმრავლესობა დაზიანებულია IIIხარისხში, რომელთა ფიზიკური ცვეთა აღემატება 60%-ს, დარღვეულია მოქმედი სეისმური ნორმების მოთხოვნები გამონაშვერებში (არ აქვთ ანტისეისმური ნაკერები). შენობის სართულიანობა (4 სართული) აღემატება ლიმიტირებულ 3 სართულს.

ძირითადი კორპუსის აღდგენა-გაძლიერება არარენტაბელურია, მიზანშეუწონელია და ის ექვემდებარება დემონტაჟს (საექსპერტო დასკვნა №000938415).

საექსპერტო დასკვნის (№000938415) თანახმად, სკოლის ძირითადი კორპუსის ფასადის მარჯვენა მხარეს მიშენებული 4 სართულიანი ფლიგელი (ლტოლვილების საცხოვრებელი) იმყოფება მთლიანობაში დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში, შესაძლებელია მისი ფუნქციონირება და მისი დემონტაჟი არ არის გათვალისწინებული.

3. ერთსართულიანი შენობა-ნაგებობები -მზიდი კედლები-აგურის და ბლოკის; დახურვა-ანაკრები კონსტრუქციების.

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

თბილისის №3 საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსის და
დაუმთავრებელი ფლიგელის დემონტაჟის ხანგრძლივობა
განსაზღვრულია სწლა 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის
ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო
სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე და შეადგენს
სამუშაოების დაწყებიდან 5 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი
პერიოდის ხანგრძლივობა-0,5 თვე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური
თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სადემონტაჟო
სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

თბილისის №3 საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსის და
დაუმთავრებელი ფლიგელის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ
რიგად:

პირველი რიგი-მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე რიგი-ძირითადი სამუშაოები.